ცენტრალური დეპოზიტარის ლიცენზია

ცენტრალური დეპოზიტარი

1. ცენტრალური დეპოზიტარის ძირითადი მომსახურებებია:

ა) ფასიანი ქაღალდების ემისიის რეგისტრაცია;

ბ) ცენტრალური დეპოზიტარის მონაწილისთვის „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების ანგარიშის გახსნა და წარმოება;

გ) ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემის ოპერირება (მათ შორის, ფასიანი ქაღალდების ცენტრალური კლირინგი).

2. ცენტრალური დეპოზიტარი უფლებამოსილია განახორციელოს საქართველოს ეროვნული ბანკის წესებით განსაზღვრული, პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ძირითად მომსახურებებთან დაკავშირებული დამატებითი მომსახურება/მომსახურებები, რომელიც/რომლებიც ხელს შეუწყობს ფასიანი ქაღალდების ბაზრის უსაფრთხო, ეფექტიან და გამჭვირვალე ფუნქციონირებას და არ იქნება დაკავშირებული დამატებით საკრედიტო ან ლიკვიდობის რისკთან, აგრეთვე განახორციელოს სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურება.

ცენტრალური დეპოზიტარის სალიცენზიო პირობები

1. ცენტრალური დეპოზიტარის ლიცენზიის მაძიებელმა ლიცენზიის მისაღებად საქართველოს ეროვნულ ბანკს უნდა მიმართოს:

- ✓ წერილობითი განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი, განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს, მოთხოვნას, განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას, განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში;
- ✓ იგი ასევე უნდა შეიცავდეს მითითებას, თუ საქმიანობის ლიცენზიის რომელი სახის მიღებას მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი, და თანდართული საბუთების ნუსხას;
- ✓ განცხადებას უნდა ერთვოდეს კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები;
- ✓ განცხადებას ასევე უნდა ერთოდეს სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი;
- ✓ განცხადებას უნდა დაერთოს ყველა ის საბუთი, რომლის წარდგენის ვალდებულებაც განმცხადებელს კანონით ეკისრება;
- ✓ განმცხადებელს უფლება აქვს წარუდგინოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ყველა სხვა საბუთი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

ამასთან, აღნიშნული დოკუმენტაციის გარდა, ლიცენზიის მაძიებელმა უნდა დაურთოს ინფორმაცია და დოკუმენტები:

ა) იმის შესახებ, რომ იგი, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, რეგისტრირებულია, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან სააქციო საზოგადოება;

ბ) იმის შესახებ, რომ მისი მმართველი ორგანოს არცერთი წევრი და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი არ ყოფილა ნასამართლევი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის, მისი მმართველი ორგანოს არცერთ წევრს ჩამორთმეული არა აქვს მმართველ ორგანოში მონაწილეობის უფლება და ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ჰქონია დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელი ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის უხეში დარღვევისათვის;

გ) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული ინფორმაცია მმართველი ორგანოს წევრთა შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესახებ;

დ) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული შესაფერისობის დეკლარაცია მნიშვნელოვანი წილის ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ;

ე) მისი წესდება, შინაგანაწესი და წესები;

ვ) იმის შესახებ, რომ მას აქვს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში);

ზ) ბოლო წლის ან ბოლო ნახევარი წლის ფინანსური ანგარიშგება (იმის მიხედვით, რომელია უფრო ახალი), რომელიც დადასტურებულია აუდიტორის მიერ და მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. თუ ლიცენზიის მაძიებელი ლიცენზიის მისაღებად საქართველოს ეროვნულ ბანკს მიმართავს დაფუძნებიდან არაუგვიანეს ნახევარი წლისა, იგი წარადგენს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დამოწმებულ მიმდინარე ფინანსურ ანგარიშს;

თ) დოკუმენტი (დოკუმენტები) საქართველოში ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან (დაწესებულებებიდან) საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი წესით განსაზღვრული მინიმალური ფულადი სახსრების საბანკო ანგარიშზე (ანგარიშებზე) განთავსების შესახებ;

ი) იმის შესახებ, რომ მისი ტექნიკური საშუალებები და ორგანიზაციული სტრუქტურა, მათ შორის, მართვისა და კონტროლის სისტემები, შეესაბამება შემდეგ მოთხოვნებს - ცენტრალურ დეპოზიტარს უნდა ჰქონდეს შესაბამისი მართვისა და კონტროლის სისტემები და ტექნიკური ინფრასტრუქტურა, რომლებითაც უზრუნველყოფს მის საქმიანობასა და ოპერაციებთან დაკავშირებული შიდა და გარე ფაქტორებით განპირობებული რისკების მონიტორინგს, იდენტიფიკაციასა და მართვას და ამ რისკებით გამოწვეული ზიანის მინიმუმამდე შემცირებას,- და ასევე შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით დადგენილ წესს (მისი დადგენის შემთხვევაში);

კ) ხელმძღვანელ პირთა სახელები, მისამართები და სათანადო პროფესიული გამოცდილების აღწერა;

ლ) იმ თანამშრომელთა სახელები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან ამ კანონის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესებისა და ცენტრალური დეპოზიტარის (დეპოზიტარის) მიერ მიღებული წესების დაცვის ზედამხედველობისთვის;

მ) მნიშვნელოვანი წილის მფლობელი პარტნიორების (აქციონერების) სახელები და თითოეული მათგანის წილის ოდენობა;

ნ) იმის შესახებ, თუ ცენტარლური დეპოზიტარის რომელი ძირითადი და დამატებითი მომსახურებების/საქმიანობების განხორციელებას გეგმავს ცენტრალური დეპოზიტარის ლიცენზიის მაძიებელი;

ო) რომლებიც დაადასტურებს, რომ ცენტრალური დეპოზიტარის ლიცენზიის გაცემის მომენტში ლიცენზიის მაძიებელი შეძლებს უზრუნველყოს ამ კანონითა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

2. ცენტრალური დეპოზიტარის ლიცენზია უნდა შეიცავდეს იმ ძირითადი და დამატებითი მომსახურებების/საქმიანობების ჩამონათვალს, რომელთა განხორციელების უფლებამოსილებაც ცენტრალურ დეპოზიტარს ამ ლიცენზიის საფუძველზე აქვს მინიჭებული.

„სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით ცენტრალური დეპოზიტარის ლიცენზიისთვის დადგენილი სალიცენზიო მოსაკრებელი განსაზღვრულია 10 000 ლარის ოდენობით.

ნორმატიული აქტები

- ✓ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონი https://matsne.gov.ge/document/view/18196?publication=48
- ✓ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 29 თებერვლის №46/04 ბრძანება „ცენტრალური დეპოზიტარის ლიცენზირებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“

  https://matsne.gov.ge/ka/document/view/6120847?publication=0

- ✓ „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონი

  https://matsne.gov.ge/document/view/12880?publication=86